საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

---

# საგამოცდო ტესტები საგანში: „მენეჯმენტის საფუძვლები”
# მაგისტრატურაში ჩასაბარებლად

ტესტები შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოს

1. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე „მენეჯმენტის საფუძვლები“. თბილისი. 2011 წ.
2. ე. ბარათაშვილი, ლ.თაკალანძე, ა. აბრალავა „მენეჯმენტი და ადმინისტრირება” საფუძველზე. თბილისი. 2007 წ.

*1. რომელია სწორი დამოკიდებულება?*

ა) მართვის სუბიექტსა და მართვის ობიექტს შორის ზემოქმედება – უკუქმედება წყვეტილი პროცესია;
ბ) მართვის სუბიექტსა და მართვის ობიექტს შორის ზემოქმედება – უკუქმედება უწყვეტი პროცესია;
გ) მართვის ობიექტსა და მართვის სუბიექტს შორის ზემოქმედება – უკუქმედება წყვეტილი პროცესია ;
დ) მართვის ობიექტსა და მართვის სუბიექტს შორის ზემოქმედება – უკუქმედება უწყვეტი პროცესია.

*2. როგორც მოვლენა რას წარმოადგენს მენეჯმენტი?*

ა) მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე არამიზანმიმართულ, არაგეგმაზომიერ

ზემოქმედებას;

ბ) მართვის ობიექტის მიერ მართვის სუბიექტზე მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ

ზემოქმედებას;

გ) მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ

ზემოქმედებას;

დ) მართვის ობიექტის მიერ მართვის სუბიექტზე არამიზანმიმართულ,

არაგეგმაზომიერ ზემოქმედებას;

*3. რა არის ადმინისტრაციული სისტემა?*

ა) ესაა მართვის კონკრეტული მექანიზმების ერთობლიობა, რომლებსაც არასაბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი;

ბ) ესაა მართვის კონკრეტული მექანიზმების ერთობლიობა, რომლებსაც საბაზრო

საზოგადოებაში აქვს ადგილი;

გ) ესაა მართვის კონკრეტული მექანიზმების ცალკეული ელემენტები, რომლებსაც

საბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი;

დ) ესაა მართვის კონკრეტული მექანიზმების ცალკეული ელემენტები რომლებსაც

არასაბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი.

---

*4. რას მოიცავს სოციალური მართვის ერთ-ერთ მსხვილი სისტემა – ეკონომიკური მართვა?*

ა) პოლიტიკურ მართვასა და ტაქტიკურ მართვას;

ბ) ბაზრის მართვასა და კომერციულ მართვას;

გ) ტექნიკურ მართვასა და კომერციულ მართვას;

დ) ზემოთ ჩამოთვლილს სამივეს ერთად.

*5. მართვის განვითარების ისტორიაში სოციალური მიდგომის შესაბამისად რომელი ეტაპი არ არის ოთხი ძირითადი ეტაპიდან?*

ა) პირველყოფილ-თემური;

ბ) მონათმფლობელური;

გ) ფეოდალური;

დ) სოციალური.

*6. აკადემიკოს ჯ. გვიშიანის კლასიფიკაციიდან ვინ მიეკუთვნება „მეცნიერული მენეჯმენტის"- კლასიკური სკოლის ავტორებს?*

ა) პ.დრუკერი, რ.დევისი, უ.ნიუმენი და სხვ.
ბ) ჩ.ბერნარდი, გ.სეიმონი, ფ.სელზინკი და სხვ.
გ) ფ.ტეილორი, ა.ფაიოლი, მ.ფოლეტტი და სხვ.

დ) ე.მეიო, ფ.როტლიბერგერი, დ.მაკგრეგორი და სხვ.

*7. ა. ფაიოლის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებიდან რამდენია ძირითადი პრინციპი?*

ა) 12;
ბ) 13;
გ) 14;

დ) 15.

*8.* დაკმაყოფილება არის სამუშაოს შინაარსის ფუნქცია, ხოლო *რა არის ადამიანის დაკმაყოფილებისა და დაუკმაყოფილებლობის ფუნქცია?*

ა) დაუკმაყოფილებლობა – შრომის პირობების ფუნქცია;

ბ) დაკმაყოფილება არის დასვენების შინაარსის ფუნქცია, ხოლო დაუკმაყოფილებლობა – გადაღლის პირობების ფუნქცია;

გ) დაკმაყოფილება არის კვების შინაარსის ფუნქცია, ხოლო დაუკმაყოფილებლობა –

შიმშილის პირობების ფუნქცია;

დ) დაკმაყოფილება არის სიმდიდრის შინაარსის ფუნქცია, ხოლო დაუკმაყოფილებლობა –

სიღარიბის პირობების ფუნქცია.

*9. რომელი კანონი არ განეკუთვნება მართვის საერთო (ზოგად) კანონებს?*

ა) შეგნებული და გეგმაზომიერი მართვის უპირატესი ეფექტიანობის კანონი;

ბ) მმართველი და სამართავი სისტემების შესაბამისობის კანონი;

გ) მართვის სისტემის არაერთიანობის კანონი;

დ) მართვის კანონების ერთობლივად მოქმედების კანონი.

*10. რამდენი ეტაპისაგან შედგება ნებისმიერი მატერიალური სისტემის სასიცოცხლო ციკლი?*

ა) 6;

ბ) 7;

გ) 8

დ) 9

*11. რომელს არ ეყრდნობა მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდი?*

ა) ფედერალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტების სისტემა;

ბ) ორგანიზაციის ნორმატიულ-დირექტიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტები;

გ) გეგმები, პროგრამები და დავალებები;

დ) საერთაშორისო თანამეგობრობის ხელმძღვანელობა.

*12. თანამედროვე ლიტერატურის მიხედვით ხელმძღვანელის ძალაუფლების რამდენი ძირითადი ფორმა გამოიყოფა?*

ა) 4;

ბ) 5;

გ) 6;

დ) 7.

*13. რომელი არ შედის ეკონომიკური ინტერესების სტრუქტურაში?*

ა) საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები;

ბ) ჯგუფური და საწარმოს ინტერესები;

გ) პირადი ინტერესები;

დ) კლანური ინტერესები.

*14. რა არის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები?*

ა) შემსრულებელთა ჯგუფზე ან მის თითოეულ წევრზე ზემოქმედების საშუალება მუშაკთა ზემოქმედებითი შრომის პირობების შექმნის გზით;

ბ) შემსრულებელთა ჯგუფზე ან მის თითოეულ წევრზე დასვენების საშუალება მუშაკთა დასვენებითი პირობების შექმნის გზით;

გ) შემსრულებელთა ჯგუფზე ან მის თითოეულ წევრზე ზედმეტი ანაზღაურების მიცემა ზედმეტი სამუშაო პირობების შექმნის გზით;

დ) შემსრულებელთა ჯგუფზე ან მის თითოეულ წევრზე საწარმოს მიერ ეკონომიის გაკეთება შრომის პირობების გადაიარაღების გზით.

*15. ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულს შორის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით რომელი ჯგუფი არ შედის ინფორმაციის მფლობელთა შემდეგ ჯგუფებში?*

ა) მართვის სისტემის მხოლოდ უმაღლესი დონე;
ბ) მართვის სიტემის უმაღლესი და საშუალო დონე;
გ) მართვის სისტემის დაბალი დონე;

დ) მართვის სისტემის ყველა დონე სრული მოცულობით.

*16. რომელი არ შედის ხელმძღვანელისა და დაქვემდებარებულის საქმიანი კონტაქტის, როგორც შრომითი მოტივაციის გაძლიერების მეთოდის, გამოყენების რეკომენდაციებში?*

ა) ხელმძღვანელმა უნდა გამოიჩინოს ინტერესი ნებისმიერი ინიციატივისადმი, რომელიც საწარმოს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს;

ბ) ხელმძღვანელმა არ უნდა დაკარგოს დრო უაზრო ინიციატივებისადმი, რომელიც მისი აზრით საწარმოს გაუმჯობესებას ვერ შეუწყობს ხელს;

გ) საქმის გაუმჯობესების ნებისმიერი ინიციატივა არ უნდა დარჩეს მენეჯერისაგან

შეუმჩნეველი და რაიმე ფორმით წახალისების გარეშე;

დ) თუ წინადადება დაქვემდებარებულის მიერ ბოლომდე არაა გააზრებული და მიყვანილი პრაქტიკული გამოყენების დონემდე, ხელმძღვანელმა ყურადღებით უნდა მიიღოს იგი და დაეხმაროს საქმის ბოლომდე მიყვანაში.

*17. რა არის რელაქსაცია?*

ა) ნერვული დაძაბულობის უმაღლეს დონემდე აყვანა;

ბ) ნერვული დაძაბულობის საშუალო დონემდე აყვანა;

გ) ნერვული დაძაბულობის დაბალ დონემდე დაყვანა;

დ) ნერვული დაძაბულობის მოხსნა.

*18. რომელი არ არის მართვის პრინციპების კლასიფიკაციის შემადგენელი ნაწილი?*

ა) მართვის ზოგადი პრინციპი;

ბ) მართვის დამოკიდებული პრინციპი;

გ) მართვის კერძო პრინციპი;

დ) მართვის სპეციალური პრინციპი.

*19. რა არ შედის კიბერნეტიკული პრინციპების სისტემაში?*

ა) თვითმოძრაობისა და თვითმმართველობის პრინციპი;

ბ) იერარქიის პრინციპი;

გ) მმართველ და სამართავ ქვესისტემებს შორის ურთიერთდაპირისპირების პრინციპი;

დ) უკუკავშირის პრინციპი.

*20. რისგან ყალიბდება მიზნის პრიორიტეტის პრინციპი?*

ა) მიზანი-ფუნქცია-ამოცანა;

ბ) მიზანი-ამოცანა-ფუნქცია;

გ) ამოცანა-მიზანი-ფუნქცია;

დ) ამოცანა-ფუნქცია-მიზანი.

*21. რა არ განეკუთვნება შესაბამისობის პრინციპს?*

ა) დასახული მიზნების გამოყოფილ რესურსებთან შესაბამისობის პრინციპი;

ბ) განმკარგულებლობისა და დაქვემდებარებულობის შეუსაბამობის პრინციპი;

გ) წარმოების ეფექტიანობისა და ეკონომიკურობის პრინციპი;

დ) წარმოებისა და მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეხამების პრინციპი.

*22. ორგანიზაციის პრინციპის აგებისას რა არ უნდა ხორციელდებოდეს?*

ა) ძალისხმევა გარე შემაფერხებელი ზემოქმედებების გამოსავლენად;

ბ) ძალისხმევის უპირატესი მიმართვა დასახული მიზნის მისაღწევად;

გ) პროცესის მიმდინარეობის ობიექტურობის უზრუნველყოფა;

დ) პროცესის ოპტიმალური და სრული საინფორმაციო უზრუნველყოფა.

*23. რა არ განეკუთვნება ორგანიზაციისა და მმართველობითი აღრიცხვის განხორციელების პრინციპებს?*

ა) საწარმოს საქმიანობის უწყვეტობა;

ბ) დაგეგმვისა და აღრიცხვისათვის ერთიანი განზომილების ერთეულების გამოყენება;

გ) დაგეგმვისა და აღრიცხვისათვის ცალკეული განზომილების ერთეულების გამოყენება;

დ) დანახარჯებისა და მარაგების მართვის საბიუჯეტო (სახარჯთაღრიცხვო) მეთოდის

გამოყენება.

*24. რას გულისხმობს კომპენსაციის პრინციპი?*

ა) ერთი მუშაკის უარყოფითი მახასიათებელი კომპენსირებული იქნას მეორე მუშაკის დადებითი თვისებებით;

ბ) ერთი მუშაკის დადებითი მახასიათებელი კომპენსირებული იქნას მეორე მუშაკის დადებითი თვისებებით;

გ) ერთი მუშაკის დადებითი მახასიათებელი კომპენსირებული იქნას მეორე მუშაკის უარყოფითი თვისებებით;

დ) ერთი მუშაკის უარყოფითი მახასიათებელი კომპენსირებული იქნას მეორე მუშაკის უარყოფითი თვისებებით.

*25. რა არ განეკუთვნება მართვის ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის პრინციპებს?*

ა) ორგანიზაციის პრიორიტეტული ორიენტაცია არა საწარმოო ფუნქციების შესრულებაზე, არამედ ბაზრის მოთხოვნებზე;

ბ) ორგანიზაციის პრიორიტეტული ორიენტაცია მხოლოდ საწარმოო ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ისეთი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფართოდ გამოყენება, რომლებიც შექმნილი არიან მიზნობრივი და არა ფუნქციური ნიშნის მიხედვით;

დ) მართვის დონეების მინიმალურად აუცილებელი რაოდენობა.

*26. რას ნიშნავს ტერმინი „ფუნქცია"?*

ა) ახსნას, განმარტებას;

ბ) დაქვემდებარებას;

გ) საქმიანობას, მოვალეობას;

დ) გაგებას, დაზუსტებას.

*27. ვინ ჩამოაყალიბა პირველად საწარმოს ფუნქციები?*

ა) რ. დევისმა;

ბ) უ. ნიუმენმა;

გ) ჩ. ბერნარდმა;

დ) ა. ფაიოლმა.

*28. რა შედის საწარმოს ფინანსურ ფუნქციაში?*

ა) კლიენტებისაგან შეკვეთების მიღება;

ბ) მოდელების დამზადება;

გ) მასალებისა და ნედლეულის შეძენა;

დ) ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ერთად.

*29. რომელი არ შედის ა. მასლოუს მიერ გამოყოფილ 5 ძირითად მოთხოვნათა შორის?*

ა) ფიზიოლოგიური მოთხოვნილება;

ბ) უსაფრთხოების მოთხოვნილება;

გ) თვითგამოვლენის მოთხოვნილება;

დ) იდეოლოგის მოთხოვნილება.

*30. რამდენი სუბიექტისაგან შედგება ა. მასლოუს იერარქიული პირამიდა?*

ა) 4;

ბ) 5;

გ) 6;

დ) 7.

*31. რომელი არ შედის კონტროლინგის 4 ძირითად შემადგენელ ნაწილში?*

ა) ადმინისტრაციული კონტროლი;

ბ) ტექნოლოგიური კონტროლი;

გ) პიროვნული კონტროლი;

დ) ფუნქციონალურ, კომპლექსური და სისტემური აუდიტი.

*32. რას ეყრდნობა კონტროლის ძირითადი ელემენტების პრინციპი?*

ა) დებულებას, რომლის თანახმადაც სტანდარტები დაგეგმვის ელემენტები არ არის;

ბ) დებულებას, რომლის თანახმადაც სტანდარტები დაგეგმვის ელემენტებია;

გ) დებულებას, რომლის თანახმადაც ელემენტები დაგეგმვის სტანდარტებია;

დ) დებულებას, რომლის თანახმადაც ელემენტები დაგეგმვის სტანდარტები არ არის.

*33. რას არ მოიცავს თვითკონტროლის პრინციპი?*

ა) სამართავი სისტემის მდგომარეობისა და ფუნქციონირების სტანდარტების დადგენას;

ბ) მმართველი სისტემის მიმდინარე მდგომარეობისა და მასში მიმდინარე პროცესების შეფასებას შესაძლო გადახრების გამოვლენის მიზნით;

გ) გამოვლენილი გადახრების დაძლევას, ანუ მმართველი სისტემის მოყვანა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს;

დ) გადახრებთან დაკავშირებით დამნაშავის გამოვლენას და დასჯას.

*34. რომელი მაჩვენებელი არ გამოიყენება ჩვეულებრივ შერჩევითი კონტროლის სისტემაში?*

ა) შესრულებული ოპერაციების რაოდენობა;

ბ) არსებული ოპერაციების შემადგენლობა, სირთულე და მოცულობა;

გ) კონკრეტული ოპერაციების შესრულების სისწრაფე;

დ) სამუშაო დროის დანახარჯები.

*35. რა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული აუდიტის ძირითად ობიექტს?*

ა) ორგანიზაციის სტრატეგიები;

ბ) ორგანიზაციის ფუნქციები;

გ) ორგანიზაციის სტრუქტურა;

დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების არ ქონა.

*36. რა არ შედის კონტროლის სისტემაში?*

ა) კონტროლის სისტემა უნდა იყოს დამოუკიდებული და არ უნდა შეესატყვისებოდეს

ორგანიზაციის მიზნებს, ამოცანებსა და გეგმებს;

ბ) კონტროლის სისტემა გასაგები და მისაღები უნდა იყოს ორგანიზაციის მართვის

ყველა დონის ხელმძღვანელისათვის;

გ) კონტროლის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მის დროულ განხორციელებას;

დ) კონტროლის სისტემა უნდა იყოს მოქნილი, ანუ უნდა ფლობდეს იმის უნარს, რომ

სწრაფად მოერგოს ორგანიზაციის გარე და შიდა ცვლილებებს.

*37. რომელ ძირითად ელემენტს არ მოიცავს მმართველობითი აღრიცხვის მეთოდი?*

ა) დოკუმენტირებას;

ბ) ნორმირებას;

გ) ლიმიტირებას;

დ) საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს.

*38. რით განისაზღვრება საწარმოს ქონების რენტაბელობა?*

ა) წმინდა მოგებისა და არაბრუნვითი აქტივების საშუალო სიდიდის თანაფარდობით;

ბ) როგორც წმინდა მოგებისა და საწარმოს აქტივების საშუალო სიდიდის თანაფარდობა;

გ) წმინდა მოგების თანაფარდობა საკუთარი კაპიტალის მიმართ;

დ) წმინდა მოგებისა და საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდის თანაფარდობა.

*39. რას მოიცავს ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობა?*

ა) შრომის ანაზღაურება;

ბ) შრომითი პროცესის რითმულობის დაცვა;

გ) ენერგიით უზრუნველყოფა;

დ) სამუშაოთა განაწილება.

*40. რას მოიცავს სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობების შექმნა?*

ა) საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა;

ბ) შრომითი პროცესის რითმულობის დაცვა;

გ) სპეციალისტებთან მოთათბირება;

დ) საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფა.

*41. როგორ განიხილება საწარმო?*

ა) ტექნიკური სისტემა;
ბ) ეკონომიკური სისტემა;
გ) სოციალური სისტემა;

დ) ყველა ზემოაღნიშნულის ერთობლიობა.

*42. რა არის დამახასიათებელი საწარმოს მენეჯმენტის სისტემისათვის?*

ა) სრული დამოუკიდებლობა სხავა სისტემებისგან;
ბ) დინამიურობა;
გ) პროცესების არაკანონზომიერი განვითარება;

დ) ანტიმონოპოლიური ფუნქცია.

*43. რას ექვემდებარება ძირითადად მენეჯმენტის პროცესი?*

ა) ფაქტორებისა და მოვლენების ექსპერტულ შეფასებას;

ბ) ციფრობრივ ასახვას;

გ) მათემატიკურ მანიპულირებას;

დ) ავტომატურ მარეგულირებელ ზემოქმედებას.

*44. მართვის აპარატის საქმიანობის უზრუნველსაყოფად რა არ არის საჭირო?*

ა) ბუნებრივი რესურსი;

ბ) ადამიანისეული რესურსი;

გ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

დ) ინფორმაციული რესურსი.

*45. რომელ ქვესისტემებს მოიცავს საწარმო, როგორც მართვადი სისტემა?*

ა) ეკოლოგიურს;

ბ) სოციოლოგიურს;

გ) სამართლებრივს;

დ) სოციოტექნიკურს.

*46. რას წარმოადგენს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა?*

ა) საწარმოს სტრატეგიას:

ბ) საწარმოს პროფილს;

გ) საწარმოს სამსახურებისა და ქვედანაყოფების ერთიანობას;

დ) მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობის ერთიანობას.

*47. რას წარმოადგენს საწარმოს მართვის სტრუქტურა?*

ა) საწარმოს უბნების, საამქროებისა და ბრიგადების ერთიანობას;

ბ) სასაწყობო და დამხმარე მეურნეობის, სარემონტო საწარმოების ერთიანობას;

გ) საყოფაცხოვრებო-კომუნალური სამსახურების ერთიანობას;

დ) მართვის ორგანოებისა და მართვის მუშაკების შემადგენლობას, მათი ურთიერთდაქვემდებარების სისტემას.

*48. რას წარმოადგენს საწარმოს ფილიალი?*

ა) იურიდიული პირის პარტნიორს;

ბ) იურიდიული პირის განცალკევებულ ქვედენაყოფს;

გ) იურიდიულ პირს;

დ) მოცემული იურიდიული პირის მდებარეობის ადგილზე განლაგებულ საწარმოს.

*49. რას უთმობენ მეტ ყურადღებას მსხვილი და საშუალო ფირმების მაღალი დონის მმართველები?*

ა) სტრატეგიულ დაგეგმვას;

ბ) ტაქტიკურ დაგეგმვას;

გ) ოპერატიულ დაგეგმვას;

დ) მიმდინარე დაგეგმვას.

*50. რაზე აგებენ უშუალოდ პასუხს საშუალო რგოლის მმართველები?*

ა) საწარმოს საქმიანობის განსაზღვრაზე;

ბ) ფირმის კეთილდღეობაზე;

გ) სამსახურებისა და განყოფილებების მუშაობაზე;

დ) საწარმოს ფინანსებზე.

51*. რა არის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა?*

ა) მართვის ობიექტებისა და სუბიექტების ელემენტების ინფორმაციული კავშირებით

განპირობებული ერთობლიობა;

ბ) სტრუქტურული ქვედანაყოფების ურთიერთგანლაგება;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფების ტექნოლოგიური კავშირი;

დ) ორგანიზაციის მართვის დონეები.

*52. ვინ არის ტრადიციული (ბიუროკრატიული) მართვის სტრუქტურის კონცეფციის ავტორი?*

ა) მაქს ვებერი;

ბ) კარლ მარქსი;

გ) ტორსტეინ ვებლენი;

დ) ლეონ ვალრასი.

*53. როგორია მართვის ბიუროკრატიული ტიპის სტრუქტურა?*

ა) ერთდონიანი;

ბ) ჰორიზონტალური წრფივი (ხაზობრივია);

გ) *იერარქიული*;

დ) ერთგვაროვანი.

*54. რა არის ორგანული (ადაპტური) სტრუქტურის ნიშან-თვისებები?*

ა) იგი ბიუროკრატიული ორგანიზაციის მსგავსია;

ბ) ბიუროკრატიული ორგანიზაციის ანტიპოდია;

გ) გადაწყვეტილების მიღება ავტორიტეტზე, წესებსა და ტრადიციებზეა დაფუძნებული;

დ) არ გულისხმობს ორგანიზაციის შიგნით ურთიერთობების არსებით ცვლილებას.

*55. სად არის გავრცელებული მართვის პროგრამულ-მიზნობრივი სტრუქტურა?*

ა) საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ბ) საწარმოებში;

გ) სახელმწიფო მართვის ორგანოებში;

დ) სამეცნიერო კვლევით და ექსპერიმენტალურ ორგანიზაციებში.

*56. რას ნიშნავს უფლებამოსილების დელეგირება?*

ა) რესურსების განაწილებას;

ბ) პასუხისმგებლობის განაწილებას;

გ) ფუნქციების განაწილებას;

დ) პროდუქციის განაწილებას.

*57. რას მიეკუთვნება ორგანიზაციის იმიჯი?*

ა) ეკონომიკურ ფაქტორებს;

ბ) ტექნოლოგიურ ფაქტორებს;

გ) ბუნებრივ ფაქტორებს;

დ) სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.

*58. რა არის კომუნიკაცია?*

ა) საქონლის გაცვლის პროცესი:

ბ) ინფორმაციის გაცვლის პროცესი;

გ) გამოცდილების გაცვლის პროცესი;

დ) ტექნოლოგიის გაცვლის პროცესი.

*59. რა არის ინფორმაცია?*

ა) სუბიექტსა და ობიექტს შორის კავშირის ფორმა;

ბ) ადამიანებს შორის შეტყობინებების გაცვლა;

გ) მენეჯმენტის უზრუნველყოფა შეტყობინებებით;

დ) სარწმუნო და ოპერატიული ნაკადების ერთიანობა.

*60. სად ფიქსირდება და აისახება ინფორმაციის დიდი ნაწილი, რომელიც წარმოიშობა მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელების პროცესში?*

ა) საინფორმაციო ბიულეტენებში;

ბ) სტატისტიკურ კრებულებში;

გ) დოკუმენტებში;

დ) ინტერნეტში.

*61. შესაძლებელია თუ არა გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ალტერნატივა?*

ა) შესაძლებელია;

ბ) შეუძლებელია;

გ) შესაძლებელია მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ნორმატიული მოდელირებით;

დ) შესაძლებელია მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით

*62. რა გამოიყენება ფართოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით ანალიზის დროს?*

ა) ანალოგიის მეთოდი;

ბ) ექსტრაპოლაციის მეთოდი;

გ) ჰიპოთეზების მეთოდი;

დ) ყველა ზემოაღნიშნული.

*63. რა არის ჰიპოთეზა?*

ა) საწარმოს საქმიანობის მიზანი;

ბ) სტრატეგიული რესურსი;

გ) ინფორმაციის ნაირსახეობა;

დ) ვარაუდი მოსალოდნელი მოვლენების შესახებ.

*64. რა არის მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია?*

ა) საქმისწარმოების სრულყოფა;

ბ) კონტროლი;

გ) წარმოებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების მოგვარება;

დ) ბიზნეს-პარტნიორებთან ურთიერთობა.

*65. რა არის სტოქასტიკა?*

ა) რისკი;

ბ) კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდიკა;

გ) ალბათობის თეორიის ნაწილი;

დ) მათემატიკურ-კიბერნეტიკული ტექნოლოგია.

*66. რას ნიშნავს საწარმოო რისკი?*

ა) არასასურველ მოსალოდნელობას ინფორმაციული გაურკვევლობის პირობებში;

ბ) საწარმოს არარენტაბელობას;

გ) საწარმოს გადახდისუუნარობას;

დ) ძირითადი ფონდების ზენორმატიულ ცვეთას.

*67. რა შეიძლება გამოვიყენოთ რისკის შესამცირებლად?*

ა) სახელმწიფო ობლიგაციები;

ბ) საწარმოს ობლიგაციების ემისია;

გ) წარმოების გაფართოება;

დ) წარმოების ლიკვიდაცია.

*68. რა უზრუნველყოფს საწარმოო საქმიანობის სტაბილურობას?*

ა) საწარმოო პერსონალის შემცირება;

ბ) პროდუქციაზე ფასების მომატება;

გ) კორპორაციებში გაერთიანება;

დ) საწარმოო მარაგის წინასწარ შექმნა.

*69. რა არის დაზღვევა?*

ა) საწარმოს სახსრების აკუმულირება;

ბ) შესაძლებელი მნიშვნელოვანი დანაკარგების თავიდან აცილების გზა მცირე დანახარჯების გაწევის ნაცვლად;

გ) შიდა ინვესტიციის წყარო;

დ) მოგების მაქსიმიზაციის საშუალება.

*70. რას უკავშირდება ახალი ტექნოლოგიის დანერგვა?*

ა) რისკს;

ბ) მოგებას;

გ) ექსპორტის გაზრდას;

დ) სამეწარმეო დანაზოგის შემცირებას.

*71. როგორია რისკის შემცირების გზები?*

ა) კონსულტანტ-ექსპერტთა მოწვევა;

ბ) საწარმოს სააუდიტორო შემოწმება;

გ) ფართო კატეგორიის მომხმარებელზე ორიენტირება;

დ) რესურსების მარაგის შემცირება.

*72. როგორია მმართველობითი კონსულტირების ეტაპები?*

ა) საწარმოს დროებითი მართვა;

ბ) საწარმოს პროფილის შეცვლა;

გ) დიაგნოზი, რეკომენდაციების შემუშავება, დანერგვა;

დ) საწარმოს სტრატეგიის განსაზღვრა.

*73. რა არის უმთავრესი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მენეჯერისათვის?*

ა) ინფორმაცია;

ბ) რისკი;

გ) საკუთარი მოსაზრებები;

დ) მართვის ობიექტის სოციალური კლასი ან კვალიფიციური ჯგუფი.

*74. რა არის წარმოების ორგანიზაციის კომპონენტები?*

ა) ამორტიზაცია;

ბ) პრივატიზაცია;

გ) ინვესტიცია;

დ) სტრუქტურა.

*75. რამდენი ფაზისგან შედგება მენეჯმენტის ციკლი?*

ა) ერთი;

ბ) ორი;

გ) სამი;

დ) ოთხი.

*76. რა გამოიყენება მართვის შეფასებისათვის?*

ა) შრომის მწარმოებლურობა;

ბ) საწარმოს მუდმივი დანახარჯების ოდენობა;

გ) პროდუქციის ფასი;

დ) დანადგარების ცვეთის პროცენტი.

*77. როგორ შეიძლება გავაანალიზოთ მართვის ორგანიზაციული სისტემის შესაბამისობა საწარმოო დარგობრივ სტრუქტურასთან?*

ა) საწარმოს იერარქიული სტრუქტურის დონეებით;

ბ) მართვის სისტემის ეკონომიკურობის მაჩვენებლებით;

გ) მართვის ავტომატიზებული სისტემის პარამეტრებით;

დ) საბაზრო ძალაუფლებით.

*78. რა არის პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ფაქტორები?*

ა) პროდუქციის შესაბამისობა ტექნოლოგიური პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

ბ) პროდუქციის წარმოების ტექნიკური პირობების შეესაბამისობა ბაზრის მოთხოვნასთან;

გ) პროდუქციის ხარისხს უშუალოდ განაპირობებს მარკეტინგული მაკროგარემო;

დ) ხარისხს განაპირობებს საწარმოს საბაზრო წილი.

*79. სად იწყება ხარისხის კონტროლი?*

ა) პროდუქტის რეალიზაციის მომენტიდან:

ბ) პროდუქტის შემუშავების მომენტიდან;

გ) პროდუქტის მოხმარების მომენტიდან;

დ) რესურსის შეძენის მომენტიდან.

*80. რას გულისხმობს ხარისხის ყოვლისმომცველი მართვა?*

ა) ფირმის მართვის ყველა დონეს;

ბ) მომწოდებლების კონტროლს;

გ) განაწილების სისტემის კონტროლს;

დ) ყველა ზემოაღნიშნულს.

*81. კანონები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული მართვასთან, მაგრამ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე, არის:*

ა) ზოგადი (საერთო) კანონები;

ბ) სპეციფიკური კანონები;

გ) განვითარების კანონი;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

*82. „მეცნიერული მენეჯმენტის" მამამთავრად ითვლება:*

ა) ფ. ტეილორი;

ბ) ა. ფაიოლი;

გ) ლ. ურვიკი;

დ) მ. ვებერი.

*83. მართვის ადმინისტაციულ-მბრძანებლურ ფორმებს შეისწავლის:*

ა) მენეჯმენტი;

ბ) ფსიქოლოგია;

გ) ადმინისტრირება;

დ) ფილოსოფია.

*84. რომელი ნიშან-თვისება ახასიათებს ადმინისტრირებას?*

ა) მკაცრი იერარქია;

ბ) მართვის  ფუნქციონალური სისტემების უპირატესი გამოყენება;

გ) მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ფიქსაციის ფორმალიზებული წესი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

*85. ანრი ფაიოლის სახელს უკავშირდება:*

ა) ხელმძღვანელობის სტილის თეორია;

ბ) მართვის ადმინისტრაციული სკოლის თეორია;

გ) მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია;

დ) „ადამიანურ ურთერთობათა" თეორია.

*86. საქმიანობის ყველა სახე, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის მმართველი სისტემის ფუნქციონირებისა და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე არის:*

ა) საშემსრულებლო კონტროლი;

ბ) საბიუჯეტო კონტროლი;

გ) ადმინისტრაციული კონტროლი;

დ) ადმინისტრაციული აუდიტი.

*87. ზოგადი, უმაღლესი დონის გეგმა არის:*

ა) სტრატეგიული გეგმა;

ბ) ტაქტიკური გეგმა;

გ) ალტერნატიული გეგმა;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

*88. კონკრეტულ პრაქტიკულ დონისძიებებთან დაკავშირებული დაგეგმვა, რომელიც ხორციელდება ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად არის:*

ა) სტრატეგიული დაგეგმვა;

ბ) ტაქტიკური დაგეგმვა;

გ) ალტერნატიული დაგეგმვა;

დ) ოპერატიული დაგეგმვა.

*89. ბიზნეს-გეგმა არის:*

ა) აუცილებლად შესასრულებელი:

ბ) პროგნოზული;

გ) საორიენტაციო ხასიათის;

დ) ბიზნესის კონცეფცია.

*90. ბიზნეს-გეგმა გვიჩვენებს:*

ა) ფირმის მიზნისა და მისი მიღწევის საშუალებების პროექტს;

ბ) ბიზნესის ორიენტირსა და სტრატეგიას;

გ) ბიზნესის მიზანს;

დ) ბაზარზე ფირმის საქმიანობასა და მისი პოზიციის ფორმირებას.

*91. რომელი დებულება არ არის სწორი:*

ა) ბიზნეს-გეგმაში განისაზღვრება ფირმის განვითარების სტრატეგია;

ბ) ბიზნეს-გეგმაში განისაზღვრება ფირმის განვითარების მიზნები;

გ) ბიზნეს-გეგმა ფულადი სახსრების მოზიდვის საშუალებაა;

დ) სამეწარმეო საქმიანობა მთავრდება ბიზნეს-გეგმის შედგენით.

*92. საქონლის ფიზიკური აღწერა მოცემულია ბიზნეს-გეგმის შემდეგ ნაწილში:*

ა) სატიტულო;

ბ) ფირმის ზოგადი აღწერა;

გ) პროდუქცია და მომსახურეობა;

დ) ინფორმაცია ბაზრის შესახებ.

*93. მარკეტინგს ეძღვნება ბიზნეს-გეგმის შემდეგი განყოფილება:*

ა) ინფორმაცია ბაზრის შესახებ;

ბ) ძირითადი პერსონალი;

გ) პროდუქცია და მომსახურება;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

*94. ფირმის მოსალოდნელი საბოლოო ფინანსური შედეგები ასახულია ბიზნეს-გეგმის:*

ა) კაპიტალდაბანდებათა გეგმაში;

ბ) საფინანსო გეგმაში;

გ) საწარმოო გეგმაში;

დ) მარკეტინგ-გეგმაში.

*95. ლიკვიდობა ნიშნავს:*

ა) მიმდინარე აქტივების ოდენობას;

ბ) ფირმის შესაძლებლობას სწრაფად მოახდინოს თავისი აქტივების გარდაქმნა ფულად სახსრებში;

გ) ფიზიკური და იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონებრივი უფლებები;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

*96. ერთი სახის პროდუქციის წარმოებიდან მრავალი სახის პროდუქციის წარმოებაზე ფირმის გადასვლა არის:*

ა) კონგლომერაცია;

ბ) დივერსიფიკაცია;

გ) სპეციალიზაცია;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

*97. ერთი პირის ან ოჯახის საკუთრება, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოს კაპიტალთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე არის:*

ა) მეწარმეთა გაერთიანება;

ბ) სრული ამხანაგობა;

გ) ერთპიროვნული საწარმო;

დ) ამხანაგობა.

*98. კომპლემენტარები არიან შემდეგი საზოგადოების წარმომადგენლები:*

ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების;

ბ) სააქციო საზოგადოების;

გ) კომანდიტური საზოგადოების;

დ) კოოპერატივის.

*99. კომპანია, რომელიც იძენს სხვადასხვა კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტებს და აწესებს მათ საქმიანობაზე კონტროლს, არის:*

ა) კონცერნი;

ბ) ტრესტი;

გ) კარტელი;

დ) ჰოლდინგური კომპანია.

*100. კარტელი არის:*

ა) გაერთიანება, რომელიც ერთ დარგზეა სპეციალიზებული;

ბ) ერთობლივი საქმიანობა ხორციელდება პროდუქციის რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით;

გ) ისინი საზღვრავენ პროდუქციის ასორტიმენტს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

*101). რომელი არ მიეკუთვნება მენეჯმენტის ელემენტს?*

ა) მენეჯმენტის თეორია;

ბ)მენეჯმენტის მეთოდები;

გ) მენეჯმენტის ორგანიზაცია;

ე)  მენეჯმენტის კანონები.

*102). საშემსრულებლო ჯგუფებზე და მის წევრებზე ზემოქმედების ხერხები, არის:*

ა) მენეჯმენტის ორგანიზაცია;

ბ) მენეჯმენტის მეთოდები;

გ) მენეჯმენტის თეორია;

დ) მენეჯმენტის ტექნიკა.

*103). მმართველობით ურთიერთობათა შორის კონკრეტულ და აუცილებელ კავშირს ასახავს:*

ა) მენეჯმენტის კანონზომიერებანი;

ბ) მენეჯმენტის კანონები;

გ) მენეჯმენტის თეორია;

დ) ყველა პასუხი სწორია.

*104). რომელი არ მიეკუთვნება მენეჯმენტის კანონზომიერებას?*

ა) საზოგადოება მიისწრაფის მოწესრიგებული მართვის ორგანიზაციისაკენ;

ბ) მეურნეობრიობის ნებისმიერ დონეზე პრინციპების ერთიანობა;

გ) მენეჯმენტის ფუნქციების მონაცვლეობა

დ) ყველა პასუხი სწორია.

*105). დაქვემდებარებულების მიმართ მოთხოვნას ცალკეული საკითხის გადაწყვეტაში, არის:*

ა) ბრძანება;

ბ) განკარგულება;

გ) გადაწყვეტილება;

დ) დირექტივები.

*106) საწარმოს აპარატის მართვისა და წარმოების თითოეული მუშაკის ფუნქციებით ოპტიმალური დატვირთვას უზრუნველყოფს:*

ა) სინქრონულობა;

ბ) რიტმულობა;

გ) პროპორციულობა

დ) ყველა პასუხი სწორია.

*107) შემსრულებელთა ჯგუფებზე ზემოქმედების საშუალება მუშაკთა შემოქმედებითი შრომის პირობების შექმნის გზით, არის:*

ა) სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები;

ბ) ადმინისტრაციული მეთოდები;

გ) ეკონომიკური მეთოდები

დ) ყველა პასუხი სწორია.

*108) კოლეგიალური მართვის ფართო გავრცელებით ხასითდება:*

ა) მმართველობითი კაპიტალიზმი

ბ) ნაციონალური კაპიტალიზმი;

გ) ფინანსური კაპიტალიზმი

დ) ყველა პასუხი სწორია.

109) *წარმოების ან მომსახურეობის მართვის განსაზღვრული, მიზანმიმართული საქმიანო-ბა, რომელიც მართვის პროცესის ყველა ელემენტის ურთიერთგანპირობებულ და ურთი-ერთდამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს, არის:*

ა) მენეჯმენტის ფუნქციები;

ბ) მენეჯმენტის პრინციპები;

გ) მენეჯმენტის მეთოდები.

დ) ყველა პასუხი სწორია.

*110) დაგეგმვა, როგორც ფუნქცია, მოიცავს:*

ა) წარმოების განვითარების განსაზღვრას;

ბ) დასმული მიზნებისა და ამოცანების გზებსა და მეთოდებს;

გ) მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განჭვრეტას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

*111) ხელმძღვანელობის ჯაჭვი ყველაზე უფრო მაღალი დონის რანგიდან ყველაზე უფრო დაბალი დონის რანგამდე, არის:*

ა)შრომის დანაწილება;

ბ) სკალარული ჯაჭვი;

გ) ერთმმართველობა;

დ) დისციპლინა.

*112 უშუალო ერთპიროვნული ხელმძღვანელობის განხორციელების უფლებას იძლევა:*

ა) აპარატული უფლებამოსილება;

ბ)ხაზობრივი უფლებამოსილება;

გ)ადმინისტრაციული უფლებამოსილება

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

*113რომელი კონცეფციის ძირითადი დებულებებია გადმოცემული ნაშრომში "საერთო და სამრეწველო მართვა":*

ა) ტეილორის;

ბ) მასლოუს;

გ) ფაიოლის.

დ) მენქიუს

*114კონკრეტულ ღონისძიებათა ჩატარების რეკომენდაციას, რომელიც ემსახურება წარმოებაში მუშათა შრომის რაციონალურ გამოყენებას, იძლევა:*

ა) ტეილორის სისტემა;
ბ) ფაიოლის თეორია;

გ) "მიღწეული მუშის" კონცეფცია

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

*115 ფრუსტრაცია არის:*

ა) ემოციური დაძაბულობა;

ბ)ნერვიული დაძაბულობის მოხსნა;

გ) ემოციური დაძაბულობის მოხსნა.

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

116 მენეჯერის მიერ ხელქვეითზე ზემოქმედების იძულებით ღონისძიებათა ერთობლიობა წარმოადგენს:

ა) ადმინისტრაციულ მეთოდებს;

ბ) ეკონომიკურ მეთოდებს;

გ) ორივე პასუხი სწორია.

*117) მენეჯერის შემსრულებელზე მიზანმიმართული ზემოქმედების ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, არის:*

ა) ფუნქციები;

ბ) მეთოდები;

გ) დაგეგმვა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

*118) ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების შესყიდვა, მზა პროდუქციის რეალიზაცია ფაიოლის მიხედვით, არის:*

ა) ფინანსური ფუნქცია;
ბ) კომერციული ფუნქცია;

გ) აღრიცხვითი ფუნქცია

დ) ყველა პასუხი სწორია.

*119) სიტყვები – "მართო, ნიშნავს საწარმო მიგყავდეს მიზნისკენ და მიიღწევა არსებული ყველა რესურსის გამოყენებით", ეკუთვნის:*

*ა) ფაიოლს;*
*ბ) ტეილორს;*

გ) განტს

დ)ლინკოლნს

*120) ხელმძღვანელის ძალაუფლების რამდენი ფორმაა ცნობილი:*

ა) ექვსი;

ბ) შვიდი;

გ) ხუთი.

დ)ცხრა

*121)რას არის მენეჯმენტი?*

ა) ადამიანების გაერთიანება რომლებიც ახორციელებენ ხელმძღვანელობას მართვის ყველა დონეზე;
ბ)პრინციპების „ფუნქციებისა და ტექნიკის ერთობლიობა, რომლებსაც მართვაში დასაქმებული ადამიანები იყენებენ;
გ)მეცნიერება ან მოძღვრება, რომელშიც ხორციელდება მართვის პრაქტიკული გამოცდილების განზოგადება და რაციონალური მართვის თეორიული პრინციპების გამომუშავება;
დ)ყველა პასუხი სწორია;

122)რა არის “მართვის სუბიექტი”?

ა) საწარმოს ან ორგანიზაციის ურთიერთდაკავშირებული ქვედანაყოფებსი და სამსახურები

ბ) მართვის ფუნქციებით აღჭურვილ ადამიანთა (მენეჯერთა) ან მართვის ორგანოთა ერთობლიობა.

გ) ზემდგომი მმართველობითი ორგანო

დ) ყველა პასუხი სწორია

*123)რა არის "მართვის ობიექტი"*

ა)საწარმოს ან ორგანიზაციის ურთიერთდაკავშირებული ქვედანაყოფებსი და სამსახურები

ბ)მართვის ფუნქციებით აღჭურვილ ადამიანთა (მენეჯერთა) ან მართვის ორგანოთა ერთობლიობა

გ)სატრანსპორტო კომპანია

დ) ყველა ზემოთჩამოთვლილი

*124)ჩამოთვალეთ მენეჯმენტის ძირითადი თეორიები*

ა) ფ. ტეილორის რაციონალიზაციის თეორია, ე. მეიოს „ადამიანურ ურთიერთობათა" თეორია

ბ) ა. ფაიოლის ადმინისტრირების თეორია; ა. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული თეორია

გ) ორგანიზაციის „კლასიკური" თეორია

დ) ყველა ზემოთჩამოთვლილი

*125)რა არის ტეილორის რაციონალიზაციის არსი?*

ა) მასალების გამოყენებაში მკაცრი რეგლამენტის (ნორმების) შემოღება

ბ) წარმოებაში მუშათა შრომის, აგრეთვე, წარმოების საშუალებათა რაციონალურ გამოყენება

გ) იარაღების, ინსტრუმენტების, ოპერაციათა და მუშაკთა მოძრაობის სტანდარტიზაცია; სამუშაო დროის ზუსტ აღრიცხვა, შრომის დიფერენცირებული სისტემის გამოყენება

დ) ყველა ზემოთჩამოთვლილი

*126)რაში მდგომარეობს "მიღწეული მუშის" კონცეფცია?*

ა) ადამიანს ისეთი დავალება უნდა მიეცეს, რომელიც მისგან მაქსიმალურ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ არ ვნებს ჯანმრთელობას.

ბ) ადამიანს ისეთი დავალება უნდა მიეცეს, რომელიც მისგან მაქსიმალურ ძალისხმევას მოითხოვს და ვნებს ჯანმრთელობას.

გ) ადამიანს მხოლოდ მძიმე დავალება უნდა მიეცეს

დ)  ადამიანს მხოლოდ მსუბუქი დავალება უნდა მიეცეს

*127) რაში მდგომარეობს „მიღწეული ხელმძღვანელის" კონცეფცია?*

ა)) ერთ ოსტატს, რომელიც საამქროში პასუხისმგებელი იყო ყველაფრისათვის, ცვლიდა „ფუნქციონალური ადმინისტრაცია", რომელიც შედგებოდა რვა ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ინსტრუქტორისაგან.

ბ)  ადმინისტრაცია წინასწარ კისრულობდა მის უზრუნველყოფას დოკუმენტაციით, ნედლეულით, ინსტრუმენტებით

გ) მენეჯერი არა მხოლოდ ტექნიკური სპეციალისტი, არამედ აგრეთვე სოციალური ინჟინერი უნდა გამხდარიყო: უნდა სცოდნოდა დასაქმებულთა პირადი თვისებები, გადაეწყვიტა კონფლიქტები, ეზრუნა თავის სალიდერო სტილისათვის

დ) ყველა ზემოთჩამოთვლილი

128) ვინ იმყოფებოდა  სამეცნიერო მენეჯმენტის სკოლის სათავეებთან?

ა)   ა.ფაიოლი

ბ)   მ.ფოლეტი

გ) ე.მეიო

დ) ფ.ტეილორი

129) რომელი სამეცნიერო სკოლის მიმდევართა კვლევები ეფუძნებოდა ზუსტი მეცნიერების მონაცემებს?

ა) მეცნიერული მართვის სკოლა

ბ) კლასიკური ანუ ადმინისტრაციული სკოლა

გ) მეცნიერული მართვისა და რაოდენობრივი მიდგომის სკოლა

დ)  ქცევის მეცნიერებათა სკოლა

*130) რა სახის მართვა ახსიათებს ორგანიზაციას, რომელიც ეწინააღმდეგება ცვლილებებს და გააჩნია მკაცრი ორგანიზაციული სტრუქტურა?*

ა) იერარქიული;

ბ) ორგანული;

გ) ავტორიტარული.

დ) მექანიკური

131) ვისი სწავლება გახდა თეორიული კონცეფციების თანამედროვე თეორიული კონცეფციების მთავარი წყარო?

ა) ფოლეტი

ბ) ფაიოლასი

გ) გეტის

დ) ტეილორის

*132) როგორც წესი, რომელ მიზანს არ ისახავს ორგანიზაცია?*

ა) თვითგადარჩენას

ბ) წარმოების შემცირებას

გ) შემოსავლის გაზრდას

დ) გაფართოებას

*133) რა არის თანამედროვე ორგანიზაციის განვითარების მთავარი ტენდენცია?*

ა) ორგანიზაციის ზომაში შემცირება

ბ) იერარქიის მნიშვნელობის შემცირება

გ) ორგანიზაციის განვითარების დაჩქარება

დ) ორგანიზაციის გაუქმება

*134) რას უნდა მივაკუთვნოთ პროდუქციის მომხმარებლები?*

ა) ორგანიზაციის უშუალო გარემოცვის ფაქტორებს

ბ) ორგანიზაციის საერთო გარემოცვის ფაქტორებს

გ) ორგანიზაციის შიდა გარემოს ფაქტორებს

დ) ყველა ზემოაღნიშნული.

*135) რომელი სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლებმა აღწერეს პირველად მართვის ერთიანობის პრინციპი*

ა ადამიანური ურთიერთობები სკოლის

ბ სამეცნიერო მართვის სკოლის

გ) კლასიკური ანუ ადმინისტრაციული სკოლის

დ) მეცნიერული მართვისა და რაოდენობრივი მიდგომის სკოლის

*136)* ორგანიზაციის მართვის რომელმა დონე უნდა იმუშავებდეს და ანხორციელებდეს გარე სამყაროსთან ურთიერთობის პოლიტიკას*?*

ა) ყველა დონე

ბ) უმცირესი

გ) უმაღლესი

დ) საშუალო

137) *რომელი სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლებმი უჭერდნენ მხარს ხელმძღვანელობასა და ქვეშევრდომებზე მზრუნველობის გაზრდას*

ა) კლასიკური ანუ ადმინისტრაციული სკოლა

ბ) მეცნიერული მართვისა და რაოდენობრივი მიდგომის სკოლა

გ) ქცევის მეცნიერებათა სკოლა

დ) ადამიანურ ურთიერთობებათა სკოლა

138) რომელი სახელმწიფოა მენეჯმენტის სამშობლო?

ა)გერმანია.

ბ)საფრანგეთი;

გ) ამერიკის შეერთებულ შტატები

დ )რუსეთი;

*139) მენეჯმენტის ცნობილი სამეცნიერო მიდგომები ქრონოლოგიურად შემდეგნაირად არის განლაგებული*

ა)ქცევითი, სიტუაციური, რაოდენობრივი, სისტემური;

ბ) ქცევითი, რაოდენობრივი, სისტემური, სიტუაციური,

გ) რაოდენობრივი, სიტუაციური, ქცევითი, სისტემური;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

*140) მენეჯმენტი არის*

ა) მეცნიერება, პრაქტიკა და ხელოვნება

ბ)მეცნიერებისა და ხელოვნება

გ) პრაქტიკა და მართვა.

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

*141*) რა ქვესისტემები შეიძლება გამოიყოს ორგანიზაციის მართვის სისტემაში?

ა) სტრუქტურულ- საინფორმაციო, საინფორმაციო-ქცევითი და თვითმგანვითარებითი

ბ) ფორმალური და არაფორმალური;

გ) მარეგულირებელი და მარკეტინგული;

დ) ადმინისტრაციული და წარმოებითი;

*142) რომელმა მეცნიერმა შეიტანა ა ყველაზე დიდი წვლილი კლასიკური ანუ ადმინისტრაციული მართვის სკოლის განვითარებაში?*

ა) ე. მეიო

ბ) ფ.ტეილორი

გ) მ.ფოლეტი

დ) ა. ფაიოლი

*143) როდის გამოიყო მენეჯმენტი  დამოუკიდებელ დარგად?*

ა)XX  საუკუნის შუაში;

ბ).  XVIII  საუკუნეში;

გ)  XIX  საუკუნეში;

დ) XIX  და  XX  საუკუნის  ზღვარზე.

*144) მართვის მეცნიერების განვითარების რამდენი ძირითადი მიდგომა არსებობს?*

ა) სამი;

ბ) ხუთი;

გ) ექვსი;

დ) ოთხი

*145) რა არის მენეჯმენტი?*

ა)   მართვის ძირითადი პრინციპი

ბ) მართვის თეორია და პრაქტიკა

გ) მხოლოდ მართვის თეორია;

დ) მხოლოდ მართვისპრაქტიკა

*146) ვინ იყო  " ადამიანური ურთიერთობების სკოლის" დამაარსებელი?*

ა) ე. მეიო

ბ) ფ.ტეილორი

გ) მ.ფოლეტი

დ) ა. ფაიოლი

*147) რომელი მტკიცებულება აღწერს სწორად მენეჯმენტის ცნებას?*

ა) მენეჯმენტი - ეს არის სამეურნეო საქმიანობის მართვა

ბ) მენეჯმენტი - ეს არის სახელმწიფო მართვა

გ) მენეჯმენტი - ეს არის საზოგადო მართვა

დ) მენეჯმენტი - ეს არის  დაქირავებული კომპანიის მართვა

*148) მართვის რა მეთოდებით  ხასიათდება პერიოდი?*

ა) ანარქისტული

ბ) ადმინისტრაციულ- ბრძანებითი;

გ) ბიუროკრატიული;

დ)“ სამხედრო-კომუნიზმის“

*149) მენეჯერის თვითკონტროლის რა სახეები არსებობს?*

ა)  ადმინისტრაციული, წარმოებითი, ფინანსური

ბ)წინასწარი, ფუნქციური, ღირებულებითი;

გ) ფორმალური და არაფორმალური.

დ) შუალედური და საბოლოო;

*150) რა არის "ორგანიზაციული უნარის" მთავარი კომპონენტები?*

ა)  ადამიანებთან მუშაობის უნარი,  მათზე  ზეგავლენა

ბ) კონტაქტურობა, სტრესგამძლეობა, დომინირება

